# შპს. ნეოპრინტი NEO PRINT LTD. NEOPRINT

მისამართი: საქართველო, თბილისი, ყაზბეგის გამზ. 44ა;
მცხეთის რაიონი, სოფელი წეროვანი
ტელ: +995 32 52 90 22, 52 86 92, 53 02 91, 72 58 45;
მაგთი ფიქსი +995 32 90 10 71 11; ფაქსი +995 32 52 90 22;
ელ-ფოსტა: neoprint@caucasus.net

Address: 44a Kazbegi Ave, Tbilisi, Georgia,
Mtskheta Region, Village Tserovani;
Tel. +995 32 52 90 22, 52 86 92, 53 02 91, 72 58 45,
Magty Fix +995 32 90 10 71 11, Fax +995 32 52 90 22,
E-mail neoprint@caucasus.net

01/2023

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
«02» 02 2023წ.
№ 719

შპს „ნეოპრინტი"-ის

ს/კ 204963762

## ს კ რ ი ნ ი ნ გ ი ს  გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონი თამარ,

გაცნობებთ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში შპს „ნეოპრინტი"-ს ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 18 მაისის N2-692 ბრძანების შესაბამისად გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შემდეგ, საწარმოში განთავსდა ახალი ტექნოლოგიური დანადგარები, რომელზეც, საწარმოში მიღებული ქაღალდის საშუალებით მზადდება: ბრენდირებული ყუთები ბოთლებისთვის; ქაღალდის კუთხეები; მუყაოს სატიხრე კედლები.

საწარმოში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის 16 – 19 ნოემბერს განხორციელდა არაგეგმიური შემოწმება და აღნიშნული ცვლილებები საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის 12 ნაწილის შესაბამისად, (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა), ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად იქნა მიჩნეული.

ამასთან გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2022 წლის 28ოქტომბრის NDES 1 22 00079696 წერილით წარმოდგენილი მიწერილობებიდან გამომდინარე შპს „ნეოპრინტი" ვალდებულია სკრინინგის პროცედურის გავლამდე შეაჩეროს საწარმოს ფუნქციონირება იმ ხაზებზე, რომლებიც არ არის განხილული გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში და მიწერილობის საფუძველზე შეჩერებულია საწარმოს ფუნქციონირება აღნიშნულ ხაზებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, მომზადდა სკრინინგის ანგარიში.

Scanned by Easy Scanner

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. შპს „ნეოპრინტი"-ს ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია (PDF)
2. SHP ფაილები

პატივისცემით,

შპს „ნეოპრინტი"-ს დირექტორი: /ნათია ჯინჭარაძე/

02.02.2023

Scanned by Easy Scanner